წელიწადი I-ლი — შაბათი 5 თებერვალი — ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 50 მან.
4 " " " . . . 40 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 26 — ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო — № 26

## სავალდებულო დადგენილება

მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულისა ქალ. ბათომში და მის ოლქში.

ხორცეულობის ხელოვნურად გაძვირების გამო ემტკაცებ რა ქალაქის საბჭოს მიერ 13 ამა იანვრის გამომუშავებულ ნიხრს, ვაცხადებ ხორცით მოვაჭრეთა საყურადღებოთ, რომ ხორცეულობა უნდა იყიდებოდეს შემდეგ ფასებში:

| | | |
|---|---|---|
| ძროხის ხორცი გირვანქა | 150 | მან. |
| " " ფუთი | 5000 | " |
| ღორის ხორცი გირვანქა | 200 | " |
| " " ფუთი | 8000 | " |
| ცხვრის ხორცი გირვანქა | 200 | " |
| " " ფუთი | 8000 | " |
| კამეჩის ხორცი გირვანქა | 120 | " |
| " " ფუთი | 4000 | " |
| ძროხის ქონი გირვანქა | 400 | " |
| ღორის და ქონი ცხვრის გირვანქა | 500 | " |

ამ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროდ მიმაჩნია მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

1) აიკრძალოს ქალაქიდან და ოლქიდან საქონლის გადარეკვა სხვა ადგილებში.

2) ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემულ ნიხრის დამრღვევნი მოვაჭრე დასჯილი იქნება ადმინისტრატიულ წესით (დატუსაღებით) ან გადასახლებით.

3) ვაჭარს, რომელიც ნიხრის დაწესებას გზა შეუწყვეტს ვაჭრობას, ჩამოერთმევა ვაჭრობის უფლება და მისი სავაჭრო სხვას გადაეცემა. ოლქის უფროსს და მის დაქვემდებარებულ ადმინისტრაციას პირთ

ვუბრძანებ სასტიკი თვალ-ყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულებას და დამნაშავეთა შესაფერ დასჯას

ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი ქალაქის საბჭოს მიერ მიღებისა.

მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული **ზ. ჩიორაძე.**

14 3—3

## ბათომის მუშათა მაგიდა

თანახმად შრომის სამინისტროს განკარგულებისა ა. წ. 25 იანვრის თარიღით № 5, ყველა კერძო და საზოგადო წარმოებანი და დაწესებულებანი, რომელთაც მუშა-მოსამსახურენი ღებულობენ სურსათ-სანოვაგეს შრომის მუშათა მაგიდიდან ვ ლდებულნი არიან ა. წ. შიდ თებერვალი შემოიტანონ მაგიდის სალარო ში იანვრის დეფიციტის ანგარიშში თითო თანამშრ(10,000) თუმანი მუშა მოსამსახურეზე ვინც აღნიშნულ ვადაზე არ შემოიტანს აღნიშნულ თანხას, მათ მუშა მოსამსახურეებს

### შეუწყდებათ რაციონის მიცემა.

რაციონ შეწყვეტილ მუშა მოსამსახურეთ უფლება ეძლევათ მიიღონ დამქირავებლისაგან შესაფერი კომპენსაცია ფულის სახით თანახმად სამუშაო პალატის დადგენილებისა 23 იანვრიდან ფულის შემოტანის ვადის გაგრძელება არ იქნება

3—2 ბათომის მუშათა მაგიდა.

## მე-4-ე ქვეითა ათასეული

შაბათს 5 თებერვალს 1921 წ 12 საათზე

### საჯარო ვაჭრობას

ყ ველისათვის ხორცისა და სხვა სანოვაგე მოსაწოდებლად, საჯარო ვაჭრობა მოხდება ათასეულის შტაბში; ცნობების მიღება შეიძლება ათასეულის სამეურ ნაწილში არტილის ყაზარმებში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე.

ვაჭრები უნდა იყვნენ წარმოდგენილი დახურულ ბარათებით. საჭირო ყოველდღიურ ორი მილიონის მანეთის წინასწარ წარმოდგენა ვაჭრობისას. 48

## განცხადება

თანახმად თვითმმართველობის საბჭოს დადგენილებისა, მიმდინარე წლის იანვრის 10-დან

### ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ელექტრონის სადგურის, წისქვილების, ქარხნების და ყველა სხვა საწარმოთა და სხვა დაწესებულებების მესაკუთრეთა საყურადღებოთ, სადაც მუშაობა წარმოებს მოდა წვის ძალებით, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან მათ არ მიეცემათ თხელი სათბობი მასალა და ამიტომ ვალდებულნი არიან მანქანების მაგარ სათბობ მასალაზე გადასაკეთებლად ან გზით გასაწყობად თუ წინაღდ დამ ა ნ კარგულებაზ ზომით და სახელმძღვანელო დაწესებულებების ოპერატორები და მექანიკოსები. მანქანების შეცვლა-გადაკეთებაზე, მათ საწარმოო-სამრეწველო ტიპების ნამუშევრებზე, ტექნიკური საზოგადო ან სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც დაქირავებით მანქანების გადაკეთება და ექსპლოატაცია მანქანების გაკეთებაში ამჟამინდელ პირთ დახმარების გაუწევს სახელმწიფო რკინის გზათა მთავარი სახელოსნოები მანქანების სხვა და სხვა ნაწილების დამზადებაში, მთავრობის საწყობები კი საჭირო მასალების მიწოდებით. ყოველგვარ ცნობებს ამ საკითხის შესახებ იძლევა ბათომის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილება.

46 **ბათომის ქალაქის გამგეობა.**

## ბათომის მუშათა მაგიდა

მაგიდას აქვს უტყუარი ცნობები ზოგიერთ პირების მიერ მაგიდის რაციონით ბოროტად სარგებლობისა-

მათ ვინაობას არ აქვეყნებს ჯერ-ჯერობით და მოითხოვს მათგან თავისი დანაშაული თვით გაასწორონ, დღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ერთი კვირის შემდეგ

### მაგიდა მიმართავს მათ წინააღმდეგ კანონს მთელი თავისი სიმკაცრით.

44 მუშათა მაგიდის გამგე.

## ბათომის ქალაქის საჯარო ვაჭრობის

## დარბაზი

აუწყებს ბათომის მოქალაქეთ, რომ შაბათს 5 თებერვალს დღის 12 საათზე დანიშნულია

### საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ოქროს და ვერცხლის ნივთები, ჰურჭლები, ტანისამოსები და სხვა. დარბაზი ღებულობს ნივთებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან დღის 3 საათამდე

გასაყიდ ნივთების ნახვა შეიძლება შაბათს 5 თებერვალს დილის 12 საათზე. დარბაზი მოთავსებულია ქალაქის თვითმმართველობის სახლში ყოფილი ქალაქის ლომბარდის ბინაზე

50 2—1

## ბათომის ქალაქის გამგეობა

აცხადებს ქალაქის ელექტრონის სადგურის აბონენტების საყურადღებოთ, რომ 1921 წ. იანვრის 1-დან თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, ელექტრონის ძალაზე დაწესებულია შემდეგი ნიხრი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯგუფი ა . . 1 კ-ს—135 მან. | | ვოლ-მოტ—1 ცხ. მ. . | 14 000 მან. |
| " ბ . . . " — 180 მან. | | " " 1—5 ძალით . . | 12 600 მან. |
| | | 5 . . 15 ძალთულზე | 11.000 მ.მ. |
| ბინებში 1 ოთახ —50 სანთლამდე | 1350 მ. | სავაჭრ. დაწ. ურიცხვ. | |
| 2 " —100 " | —2460 მ. | 1ლ—32 სანთლ. | —1680 მ. |
| 3 " —150 " | —3300 მ. | 1— 50 " | —2010 მ |
| 4 " —200 " | —4200 მ | 1—100 " | —3990 მ. |
| 5 " —250 " | —5100 მ. | 1—200 " | —7500 მ. |
| 6 " —300 " | —6000 მ | | |

სამრეწველო ტარიფი: მრიცხველის ქირა თვ. 400 მან
1000 კ-ს-მდე 70 მ. კ. ს. პროჟექტორის " " 10000 მან.
5000 " —65 მან
5000 " ზევით 60 მან.

ასეთივე ნიხრია დაწესებული ბ. ფეფელავის კერძო სადგურისათვისაც ქალაქის გამგეობა სთხოვს იმ აბონენტებს ვისაც ბ. ფეფელოვი დაწესებულზე მეტს გადაახდევინებს აცნობონ მას ასეთ შემთხვევაში

### სათანადო ზომების მისაღებათ.

51 3—1 ბათომის ქალაქის გამგეობა

## განცხადება

ბათომის სამხედრო მაღაზიის გამგე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის თებერვლის 15-ს სამშაბათს, დილის 11 საათზე, დანიშნულია

### საჯარო შეჯიბრება

ბათომის გარნიზონის ჯარების პურის-საცხობი იჯარით გაცემაზე. სავალდებულო შეჯიბრების მსურველთ შემოიტანონ საწინდარი 300000 მანეთი. ყოველ ცნობების მიღება შეიძლება მაღაზიის კანცელარიაში 8 საათ დილ 3 საათამდე ყოველდღე.

ბათომის სამხედრო სასურსათო მაღაზიის გამგე. 3—1

## ბათომი, 5 თებერვალი.

ეროვნულ თვით გამორკვევის იდეამ ბრწყინვალე გამარჯვება.

გამარჯვება არა ვილსონის და სხვა კაცთმოყვარეების კეთილ მსურველთა ჰუმანიურ რეცეპტებით, არამედ ყოველ ხალხთა ნაციონალურ არსთა თავგანწირულ ბრძოლის შედეგათ.

საქართველო 1917 წელს თეორიულ ძიებიდან პრაქტიკულ მებრძოლათ გამოვიდა, მან ასპარეზზე გამოიყვანა დარაზმული მშრომელი ხალხი და 1917 წ. არსენალის ღებით საქართველო ეროვნულ განთავისუფლების პროცესში შედის.

ბევრი ნეტარი გამარჯვება ამწვენებს ამ წლიდან საქართველოს, თბილისი, საქართველოს, გული მაშინ სომხის პლუტოკრატიის ხელში იყო და ქალაქის თვითმართველობაში ქართველ დემოკრატიის ჰაჭანებაც არ ისმოდა.

მაგრამ ქართველ მშრომელ მასის ორგანიზაციულმა გაბრძოლებამ ქალაქის არჩევნებში თბილისის თვითმმართველობაში პირველად მოუგრიხა კისერი სომხის პლუტოკრატიას და თბილისის თვითმმართველობაში ქართველი დემოკრატია გაბატონა.

დღეს ჩვენ ტიტველ, მაგრამ დიდ მნიშვნელოვან ფაქტების მოწამენი ვართ. ერნი, რომელნიც ჯანსაღი იყვნენ თავის ბრძოლაში და მშრომელ მასის ორგანიზაციას ეყრდნობოდენ ბრწყინვალეთ იმარჯვებენ საერთაშორისო ბრძოლაში.

ლამაზ და საღ ბრძოლების მერე იცვნეს საქართველო, იცვნეს ბალტიის სახელმწიფოები.

საერთაშორისო უფლებით მისილი საქართველო კიდევ უფრო ღრმათ დარწმუნდება თუ რა ძალა ჰქონია შინაურ სიმაგრეს და სახალხო ორგანიზაციას.

სხვამ რომ გიცნოს ამისათვის ჯერ

# „დიპლომატიური წარმომადგენელი“.

კავკავის ქედლის გაზეთში „კავკასიაია კომმუნა“ სხვა წერილებს შორის, რომლებიც სავსეა საქართველოს მიმართ ლანძღვა-გინებით მოთავსებულია წერილი სათაურით:

ამხანაგი კიროვი საქართველოს შესახებ.

კავკავი. უკანასკნელ პარტიულ კრებაზე რ. კ. პ. კავკასიის ბიუროს წევრმა ამხანაგმა კიროვმა შემდეგი მოხსენება გააკეთა საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ:

„თუ ჩვენ დღემდე საქართველოს მმართველი წრეების ლანძღვასა და სიცრუეს ვუცქეროდით, როგორც ფინიას ყეფას, ახლა დრო იქნება განუცხადოთ მას, რომ თავის ქათამკვეხელობით მან საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მიიყვანა იმ მომენტამდე, როცა ღრუბლები იკუმშება.

თუ დღემდე ჩვენი წარმომადგენლები არწმუნებდნენ ნოე ჟორდანიას, რომ მისი პატარა, კახეთის ღვინოთი გაჟღენთილი მიწა ჩვენ არავითარი მხრით არ გვაინტერესებს, ახლა დადგა დრო მივუთითოთ, რომ კავკასია იქნება საფლავი არა საბჭოთა რუსეთისათვის, როგორც ის გვემუქრება, არამედ მისთვის და მისი სულის ჩამდგმელ მეფის გენერლების და ჟანდარმ-პოლკოვნიკებისათვის.

თუ ანტანტის ვასალები ცდილობდენ ჩვენთვის კავკასიაში, საფლავი გაეთხარათ, — არა უსუსურ და უგამჭრიახო ჟორდანია და ცალიკოვები განახორციელებენ ამ მუქარას.

თუ თავის ვნებით გამხეცებული ნოე ჟორდანიას კიდევ აქვს საშვალება ერთი გამხმარი ფეხით არბიოს ქართველი კომუნისტები, უნდა უთხრათ მას, რომ საკმაო იქნება ჩვენ ერთი მხარი გავანძრიოთ, რომ თვით ამოყოს თავი იმ საფლავში, რომელსაც ჩვენ გვიწინასწარმეტყველებს.

თუ ჩვენ ნებას ვაძლევთ მას, ბუზღუნა ბებერს, იცრუოს, ილანძღოს, ღვაროს სისხლი, ატყუაროს, აწამოს და პროვოკაციებით შეეცადოს აჯანყების გამოწვევას, ახლა დადგა დრო განვაცხადოთ ევროპის მუშების გასაგონად:

„შეხედეთ ვინ არიან მენშევიკები შეხედეთ რა სისაძაგლემდე მიდიან ისინი, ეს კაპიტალის მსახურები“.

თუ მენშევიკებმა დღემდე შეძლეს გაეგრძელებინათ დენიკინის და მეფის გენერლების განსაკუთრებულ რაზმებში და ჟანდარმებით, ახლა ჟორდანია ამასაც კარგავს, რადგან მათივე წრეში მოხდა განხეთქილება.

ჟორდანიას სულის ჩამდგმელთა ნაწილმა დასტოვა ის და ჩამოშორდა.

ღრუბლები შეიკუმშენ, მაგრამ იმ მომენტიდან, როცა იხეთქებს ქარიშხალი, საქართველოს ცაზე ამოკაშკაშდება წითელი ვარსკვლავი.

შენიშვნა: მოვაგონებთ მკითხველებს, რომ კიროვი გამოგზავნილი იყო საბჭოთა მთავრობის მიერ „საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად“

## სტუდენტთათვის.

სტუდენტი დღეს მართავს თავის დღეს რომელიც 26 იანვარს უამინდობის გამო გადაიდვა

ქართველი სტუდენტი საპატიო და მომავლის საიმედო ძალაა.

მისი სასურველად აღზრდა და მყობად ცხოვრებისათვის მაგარ ორგანიზმით, ძლიერი ცოდნით ხელში მიცემა ჩვენი მიზანი უნდა იყოს.

ქართველი სტუდენტი ღარიბია, ქართველ სტუდენტს არ აქვს წიგნთსაცავი მას არ აქვს ევროპის მეცნიერთა წიგნები მშობლიურ ენაზე თარგმნილი, დღეს ქართველი სტუდენტი მოქალაქეებს სთხოვს თავის წვლილს სტუდენტის სასარგებლოდ.

ბათომი ამ მხრით გულნატკენს არ დასტოვებს ჩვენს სტუდენტს და მას სიხარულით შეხვდება. მოქალაქენო მიიღეთ ფართე მონაწილეობა სტუდენტთა ზეიმში, მიეცით მათ თქვენი თანაგრძნობა და დაეხმარეთ თქვენი წრფელი გულით.

სტუდენტობა საქართველოს მომავალია, მოქალაქენო გაუმაგრეთ ზურგი სტუდენტობას.

ისმინეთ მათი ძახილი არ დააკლდეთ მათ საღამოს. ხელი შეუწყვეთ სტუდენტობას.

გ—ლი.

## სტამბოლის ცნობები.

— ანგორის ოფიცრები სტამბოლში ჩავიდენ და დიდი ვეზირი ინახულეს(?)

— რუმინიის ნავთის ერთი ნაწილი ოსმალეთში გააქვთ.

— ცემალ ფაშამ ენვერ ფაშის მომხრეები კანონს გარეშე გამოაცხადა.

— ტრიპოლში იტალიამ ახალი ჯარი გადასხა.

— ხმა დადის, საფრანგეთის და იტალიის დიდი უთანხმოება აქვთ ოსმალეთის საკითხის გამო და ისინი სეპარატიულად აწარმოებენ მოლაპარაკებას ოსმალეთთან.

— ტრაპიზონში გადმოყავთ თურქულ დივიზიის ნაწილი, ნაწილი ჯარი სმირნის ფრონტზე გაგზავნეს.

## უკანასკნელი სენსაცია

გაზ. „ობშეე დელო“-ში, შემდეგი ცნობაა მოთავსებული:

საბჭოთა ძალაუფლება ბათომში.

ლონდონი. 3 იანვარი. — კონსტანტინეპოლიდან გაზეთ „Daily Express“ ატყობინებენ, რომ ბათომში საბჭოთა ძალაუფლება დამყარდა.

## დეპეშა.
(შემთხვევით).

ოზურგეთის საქალაქო არჩევნები დასრულდა სოც.-დემ. გაიყვანეს 14, ნაციონალ დემოკრატებმა 3, ფედერალისტებმა 3 და ესერებმა 1.

## ახალი ამბები.

— აკაკი ჩხენკელი, საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ევროპაში, უკვე გაემგზავრა ქ. პარიზს

— საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში ბ-ნი ნაზაროვი თბილისს გაემგზავრა.

— სათბობის განაწილება უცხოეთის გემებისათვის. 4 თებერვალს საღამოს 7 საათზე განსაკუთრებულ სამმართველოს ბინაზე დანიშნულია უცხოეთის გემებისათვის სათბობი მასალის გამნაწილებელ კომისიის სხდომა. კომისიაში შედიან წარმომადგენლები: სახელმწიფო კონტროლის, მომარაგების სამინისტროსი, ქალაქის თვითმართველობისა და საგანგებო რწმუნებულისა. ამას გარდა კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ: საოლქო ინჟენერი ბათომის ნავთსადგურის უფროსი, საბაჟოს გამგე და სანაპირო რაზმის უფროსი.

— შუამდგომლობა გზის შეკეთების შესახებ. კვარცხანის სპ. ლენ. ძ.ს ქარხნის დირექტორი ბ. ერნი თავის შუამდგომლობაში განსაკუთრებულ რწმუნებულის წინაშე ბათომსა და ქარხანას შუა გზის დაუყონებლივ შეკეთების შესახებ, იუწყება გზის და ხიდების მეტად ცუდ მდგომარეობის შესახებ: ხის ხიდები ბევრგან დამპალია და საშიშროებას წარმოადგენს ფურგონების და ავტომობილებისათვის. იყო უბედური შემთხვევებიც. დასასრულ თავის შუამდგომლობაში ბ. ერნი აღნიშნავს, რომ ბათომსა და ქარხანის შორის დაუბრკოლებელ მიმოსვლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქარხნის მუშაობისათვის.

— კონცერტი საქველმოქმედო მიზნით. შაბათს 5 თებერვალს სომხურ კლუბში გაიმართება კონცერტი სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოთ

— 21 იანვარს, როდესაც კვარცხანის ქარხნის საბარგო ავტომობილი გადიოდა აჭარის წყლის ხიდზე უკანა გორგები ჩავარდა ხიდში, რიკელი კი დამპალიყო, წყლისკენ გადახრილ ავტომობილიდან გადავარდა ორი მეშოკი შაქრის ფხვნილი და რამდენიმე მეშოკი ქართოფილით. წყალში დაკარგულ საქონლის ღირებულება უდრის 500000 მანეთს. მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას უნდა მიეწეროს, რომ გადარჩა მანქანა და ავტომობილზე მყოფი ხალხი.

— ბოლშევიკების თანამშრომელთა 28 კაცი თბილისიდან წავიდენ.

— სახელმწიფო კონტროლიორმა ბ-ნმა გოლეთიანმა გუშინ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა, რომ ბათომში მოვლენილ მოხელეთათვის დღიური მოსპობილია.

— რედაქციას მრავალი უსახელო წერილი და ჯარში მსახურთა განცხადება მოსდის ბათომის სამხედრო სასტუმროთა მაღაზიაში ბოროტმოქმედებათა შესახებ, რაზეც მივაქცევთ სათანადო პირთა ყურადღებას.

### ნავთსადგურში

— კვირას 6 თებერვალს ნეაპოლში და გენუაში გადის გემი „ალბანია“, რომელსაც მიაქვს დიდძალი ხე-ტყე

— 6 თებერვალს კონსტანტინეპოლისკენ გადის გემი „მურპინ ი“.

— 3 თებერვალს გავიდა გემი „პოლაცკი“.

— მანუილიდის სააგენტოს გემი „გაველპარკი“ გავიდა ბათომის ნავთსადგურიდან.

— 5 თებერვალს გადის გემი „რიზუმი“

— რესპუბლიკის ნავთსადგურებიდან მოვიდა რამდენიმე იალქნიანი გემი, რომლებმაც ჩამოიტანეს ხილი და თამბაქო.

## ოზურგეთის არჩევნები.

ქ. ოზურგეთში დასრულდა საქალაქო არჩევნები.

ყოველი არჩევნების შედეგი საყურადღებოა მით, რომ მასში მჟღავნდება ხალხის სულისკვეთება, მისი სულიერ განწყობილების მიდრეკილება.

განსაკუთრებით დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც არჩევნები ხდება უცენზოთ პირდაპირ და საიდუმლო ხმის მიცემით.

რა მოხდა ოზურგეთში?

ნაციონალურ წრეებს სწამთ რომ სამი წლის სინამდვილე იხტიბარს გაუტეხს მმართველ პარტიას და მას ხალხის ნდობას რაც უმთავრესია, ჩამოართმევსო.

ასეთ დიაგნოზის დასმის დროს მმართველ პარტიის მოპირდაპირენი „ფაქტებსაც“ კი იშველიებდენ, თუმცა ეს ფაქტები აღებული იყო გულუბრყვილო მეშჩანურ ყოფიდან და მას არავითარი საერთო არ ქონდა სახელმწიფო პოლიტიკასთან.

ოზურგეთის არჩევნებმა დაამტკიცა, რომ ხალხი ისევ იმ ძალასთანაა რომელმაც 26 მაისიდან 1918 წ-იდან ზიდა საქართველოს ბედი და იგი 1921 წ საერთაშორისო ოჯახის სწორუფლებიან წევრათაც გახადა.

ქართველი ერი ისევ ამ სასიცოცხლო ძალასთანაა.

ოზურგეთის არჩევნებში მმართველ პარტიას გაუყვანია 14 ნაც.-დემ. (გასულ წელს ყოფილა 5 ახლა გაუყვანიათ 3, ფედერალისტებს 2 და ესერებს ერთი.

ნაციონალისტების ხმით გასულან ისერები და ესფერები.

საყურადღებო შედეგია

იგი ამჟღავნებს ჩვენი ხალხის სულიერ განწყობილებას.

## მუშათა ცხოვრება.
### სასახლეში.

კვირას, 6 თებერვალს, დილის 12 საათზე მუშათა სასახლეში გაიმართება მეათე სიმფონიური დილა. პროგრამა ამ დილისა მეტად შინაარსიანი და საინტერესოა. ფასები მუშებისათვის ძლიერ მცირეა და იმედია ამხანაგები რაც შეიძლება მეტი დაესწრებიან;

### სეკრეტარიატში.

სამშაბათს, 1-ლ თებერვალს, საღამოს 7 საათზე მოხდა პროფესიონალურ ორგანიზაციათა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ყველა კავშირების გამგეობები. კონფერენციამ თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩია ამხ. აიოლო, მდივნათ სპერანსკი,

დღის წესრიგში იდგა საბჭოს მიერ არჩეულ განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება ზოგიერთ კატეგორიის მუშა-მოსამსახურეების პურის რაციონის შეწყვეტისა და მათი პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ფლეიშერის მოთხოვნილებით, აზრთაგაცვლა-გამოცვლის შემდეგ კონფერენციამ უმრავლესი ხმით მეორე საკითხათ დღის წესრიგში შეიტანა 100% მომატების ბათუმზე გავრცელების საკითხი.

კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. აიოლო, რომელმაც გააცნო კონფერენციას კომისიის დაუღალავი მუშაობა ამ საკითხის სასურველათ გადასაჭრელათ. მომხსენებელი ამბობს, რომ კომისიის მუშაობაში ამ საკითხის გარშემო არავითარ უთანხმოებას არ ქონია ადგილი, მისი მიზანი და მისწრაფება ერთსულოვანი იყო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კომისიის ძალიან მცირე ნაწილის აზრთა სხვაობას, რომელ უმცირესობასაც შეადგენდა მხოლოდ ერთად-ერთი კულიკოვი, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ იანვრის კომპენსაცია მუშა-მოსამსახურეებს მისცემოდათ ხელზე და ამას ის ასაბუთებდა იმით, რომ მუშების უმეტეს ნაწილს სესხის სახით იანვრის კომპენსაცია უკვე მიღებული აქვთ და მათ არ შეუძლიათ ვალის გადახდა. მაგრამ კომისიამ გადასწყვიტა:

„თითოეულ მუშა-მოსამსახურეზე იანვრის კომპენსაცია 10.000 მანეთი მოკრებილ იქმნას დამქირავებლებისაგან და დარსდეს ფონდი; რომელიც საშუალებას მისცემს კოოპერატივებს პარტიობით შეისყიდონ ხორბალი და ადრე ხანში მიაწოდოს მუშა-მოსამსახურეებს იაფ-ფასებში პური და შეიძლება [illegible]

ასეთი ზომა, კომისიის აზრით, რათქმა უნდა, [illegible] მარეგას მისცემს მუშებს და გააუმჯობესებს მათ პირობებს, ვინემ ბონების ხელზე მიცემა, რაც გამოიწვევს ბაზარზე პურის ფასის უფრო აწევას.

კომისია ასეთი გადაწყვეტილებით წარმოსდგა თქვენს წინაშე და ჩვენ გვსურს ეხლა მოვისმინოთ კონფერენციის აზრი ამ საკითხის შესახებ.

კულიკოვი. საბჭომ თავის სხდომაზე დაადგინა, რომ მუშებს მისცემოდათ კომპენსაცია და ამ საკითხის ტეხნიკური მხარეების გამოსამუშავებლათ და ცხოვრებაში გასატარებლათ აირჩია განსაკუთრებული კომისია. ყველამ ერთხმათ მიიღო ფონდის დაარსება და ამის არც უმცირესობა ყოფილა წინააღმდეგი, მ ა გ რ ა მ საქმე იმაშია, რომ ზოგიერთებისათვის უფრო ხელსაყრელია ფულის ხელზე მიცემა და გვინდოდა მათი ინტერესები არ ყოფილიყო შელახული ამ შემთხვევაში. ამასთან ერთად ბევრს სესხის სახით აღებული აქვს იანვრის ფული და რომ მწარმოებლებისაგან შეიკრიბოს იანვრის კომპენსაცია ფონდისათვის, მაშინ მუშებს დააწვებათ ეს ვალი და ვერ შესძლებენ მის გადახდას. მე წინადადებას ვაძლევ კონფერენციას მიიღოს გადაწყვეტილება იანვრის კომპენსაციის ხელზე მიცემის, რაც შეეხება თებერვლისას, ეს თანხა კი მოგროვილ იქმნას ფონდისათვის.

ვ. ქელიძე. ჩვენ იმედი გვქონდა მოვისმენდით კონფერენციის აზრს მაგრამ სამწუხაროთ კონფერენცია ამ საკითხის გამორკვევაში არ დებულობს სათანადო მონაწილეობას

ჩვენ გვესმის მხოლოდ ერთი და იგივე ამხანაგების სიტყვა, კონფერენცია კი სდუმს. ჩვენ გვინდა აზრი კონფერენციისა.

კამათის შემდეგ, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა ამხანაგებმა, კონფერენციამ მიიღო კომისიის წინადადება.

მეორე საკითხის შესახებ ამხ. დ. ნაკაიძემ მიმართა კონფერენციას მოეხსნა დღის წესრიგიდან და გადაეცა ამ საკითხის გამორკვევა სეკრეტარიატისათვის, რადგანაც სეკრეტარიატს არ განუხილავს წინასწარ და ამიტომ არ შეუძლია თავისი აზრის ახლავე გამოთქმა რომ შეეძლოს რაიმე წინადადების შემოტანა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ 100 % მომატების საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან და გადაეცა სეკრეტარიატს საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს თავისი შეხედულება.

— სეკრეტარიატმა საქართველოს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირებთა აღმასრულებელი კომიტეტისაგან მიიღო დეპეშა, რომელთაც ატყობინებს, რომ, კვირას, 6 თებერვალს საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო დანიშნულია დღესასწაული, რისთვისაც ყველგან უნდა მოხდეს კრებები და გაიმართოს მიტინგები ამ დღესასწაულის აღსანიშნავად.

### ბეჭდვითი კავშირში.

ბათომს 5 თებერვალს, უნდა მოხდეს ბეჭდვითი საქმის კავშირის

საღვინე გასტრონომიული მაღაზია
# იუიღეგა
დაწმენდილ დაცდილ ღვინო, იამაის რომი, კონიაკი „IMPERIAL“
და სხვა სასმელები მაღალი ღირსებისა
სავაჭრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.
25—9

გამგეობის სხდომა, რომელმაც უნდა დანიშნოს დღე საერთო კრების მოწვევის შესახებ.

## უცხოეთი.

### სესხი ავსტრიას.

ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს შორის პარიზში მოხდა მოლაპარაკება ავსტრიისათვის სესხის მიცემის შესახებ. ინგლისის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა მიეცეს ავსტრიას სესხათ 250 მილიონი დოლარი, 5 წლის ვადით.

### კავშირი რეაქციის წინააღმდეგ.

პარიზის გაზეთების ცნობით უკიდურესმა სოციალისტებმა და ანარქისტებმა კავშირი შეკრეს საერთაშორისო რეაქციასთან საბრძოლათ.

### ტელეფონი ამერიკასა და ევროპას შუა.

ცნობილმა მარკონიმ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ამ წელს მოწყობილი იქნება უმავთულო ტელეფონი ევროპასა და ამერიკას შუა.

### დ'ანუნციო—ნაციონალისტების ბელადი.

ჯერ გამორკვეული არ არის თუ რას აპირებს დ'ანუნციო, რომელიც ამ ჟამად ადგენს ანგარიშს ტრაგიკულ დღეების შესახებ (უკანასკნელ ხანებში ფიუმეში მომხდარი ამბები).

უკანასკნელი ცნობებით ის რამდენიმე დღით გაემგზავრება ნიცაში და შემდეგ რომს, სადაც ის ხელმძღვანელობას გაუწევს დიდ გაზეთს, რომლის გამოცემა იკისრეს მისმა ახლობელმა მეგობრებმა. ეს გაზეთი ოპოზიციაში ჩაუდგება ჯიოლიტის სამინისტროს.

დ'ანუნციოს ახლობელ წრეებში ამტკიცებენ, რომ მას საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ერთად ერთი მიზეზი ლეგიონერებსა და რეგულიარულ ჯარებს შორის მომხდარ კონფლიქტის იყო გენ. კავილიას მოქმედება.

ამბობენ, რომ დ'ანუნციოს აზრათ აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ის სათავეში ჩაუდგება ნაციონალისტთა პარტიას.

### ბოლშევიკური უგარის შენელება.

რომში მიღებულ ცნობებით, ბოლონიაში და რივიგოში კვირაობით შეტაკებები ხდება უკიდურეს ნაციონალისტებსა და ბოლშევიკებს შორის.

მიუხედავათ ბოლშევიკების გაცხარებულ აგიტაციისა იტალიის სოფელი თანდათან მშვიდდება.

სამხრეთ-სლავია'თან დადებულმა ხელშეკრულებამ და ფიუმეს ავანტიურის ლიკვიდაციამ გამოაფხიზლა ხალხი.

მდგომარეობა ყოველგან უმჯობესდება. იმედი აქვთ, რომ ლივორნოს სოციალისტური კონფერენცია უფრო შეანელებს კომუნიზმის გავლენას.

### ფიუმეს ამბები.

31 დეკემბერს ფიუმეს და გენერალ ფერარის წარმომადგენლებმა, მოაწერეს ხელი საზავო შეთანხმებაზე.

დ'ანუნციოს სურდა დაეტოვებია ფიუმე ლეგიონერებთან ერთად, მაგრამ მის თხოვნაზე უარი განუცხადეს.

### უნგრეთში მოსალოდნელ რესტავრაციის შიშის გამო.

„Daily Herald“-ის კორესპონდენტი იუწყება ვენიდან, რომ იტალიისა და სამხრეთ-სლავიის შორის დაიდვა ფარული ხელშეკრულება, რომელიც მიმართულია უნგრეთის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი მოინდომებს გაბსბურგების აყვანას ტახტზე. გაბსბურგების დაბრუნების მოსალოდნელობა ისეთივე შიშს იწვევს იტალიაში, როგორც სამხრეთ სლავიაში.

იუწყებიან, რომ აღნიშნულ შეთანხმებით გათვალისწინებულია უნგრეთზე სამხედრო და ეკონომიური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, თუ უნგრეთის ტახტს კვლავ გაბსბურგები დაეპატრონა. ეგრეთვე ზომები იქნება მიღებული, თუ უნგრელები შეეცადენ დაიბრუნონ დაკარგული ოლქები.

შეთანხმებით უზრუნველყოფილია სამხრეთ-სლავიის ტერიტორიალური „status quo“.

„Daily Herald“-ის შესაძლებლად მიაჩნია, რომ ჩეხო-სლოვაკია შეუერთდება იტალია-სამხრეთ სლავიის კავშირს.

### სამხრეთ-სლავია.

#### სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები.

ისე როგორც გერმანიის დამოუკიდებლებში, საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში და შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, მოხდა განხეთქილება სამხრეთ-სლავიის სოც.-დემოკრატებშიაც: პარტია გაიყო ორათ—კომუნისტები და სოც.-დემოკრატები.

სამხრეთ-სლავიის სახელმწიფოს შექმნის დროს იქ მოქმედებდა ოთხი სოც.-დემ. პარტია: სერბიის ძველი სოც.-დემოკ. ბოსნიისა და ჰერცოგოვინის სოციალ-დემოკრატია, სოც.-დემოკრატ. ხორვატების პარტია და კარინთიის და კრაინა შტირიის სოც.-დემოკრატია.

როდესაც ყველა ეს ტერიტორიები გაერთიანდენ ერთ სამხრეთ-სლავიის სახელმწიფოში, სერბიის ორივე პარტია და ბოსნია ჰერცოგოვინის პარტიები გაერთიანდენ.

კომუნისტები შეეცადნენ მაშინ ხელში ჩაეგდოთ პარტიის ხელმძღვანელობა და ისე წარმატებით მუშაობდენ, რომ პარტიამ მიიღო „სამხრეთ-სლავიის კომუნისტური პარტიის სახელწოდება და დაუყოვნებლივ შეუერთდა მესამე ინტერნაციონალს.

ის სერბიელი და ბოსნიელი ამხანაგები, რომლებმაც არ უღალატეს სოციალ-დემოკრატიულ დროშას, ცდილობდენ განხეთქილება, პროლეტარული ძალების დაქსაქსვა თავიდან აეცილებიათ და ამის გამო დარჩენ პარტიაში, რომ შიგნით კომუნიზმის წიაღში ეწარმოებიათ სოციალისტური მუშაობა. არჩევნების დროს მათ არ მიიღეს მონაწილეობა ხმის მიცემაში. რადგან პარტიის ხელმძღვანელობა კომუნისტებს დარჩათ და უარი განაცხადეს ყოველგვარ კანდიდატურაზე. მაგრამ მიუხედავათ ამისა კომუნისტურ ბანაკში უთანხმოებას მაინც ჰქონდა ადგილი. სოციალ-დემოკრატიულმა ოპოზიციამ გამოაქვეყნა თავისი შეხედულებანი მანიფესტში, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა.

ამის შემდეგ კომუნისტებმა გადაწყვიტეს, მიუხედავათ პარტიის სტატუტებისა გამოერიცხათ პარტიიდან ყველა ისინი, ვინც მანიფესტს ხელი მოაწერა.

პარტიიდან გამორიცხული დარჩენ ძველი გამოცდილი სოციალ-დემოკრატები, ძველი პარტიის დამაარსებელნი, რომელთა გაბედული მოქმედება ომის დროს გაიცემდა იწვევდა სოციალისტურ ინტერნაციონალში.

გამორიცხულებმა ბელგრადში დაარსეს ავტონომიური ორგანიზაცია. თებერვლის შუა რიცხვებში შესდგება კონგრესი ბოსნიისა და სერბიის გაერთიანებული ახალი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა.

ეს ახალი პარტია მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესში, რომელიც მოწვეულია ქ. ვენაში 22 თებერვალს.

ახალი პარტიის წინაშე დაისვა კითხვა—შესაძლებელია თუ არ ხორვატიის სოციალ-დემოკრატიასთან გაერთიანება, რადგან დღემდე სერბია-ბოსნიისა და ხორვატიის სოციალ დემოკრატიულ პარტიებს შორის სერიოზულ უთანხმოებას ქონდა ადგილი.

სლოვენ და-ხორვატ მუშებისათვის სამხრეთ-სლავიის სახელმწიფოს შექმნა იყო ნაციონალური რევოლუციის საქმეთ, რომელშიც მუშათა კლასი იღებდა აქტიურ როლს, ამიტომ იყვნ სლოვენი და ხორვატი სოც. დემოკრატები ახალი სახელმწიფოს მთავრობაში მონაწილეობის მომხრე.

სერბიელი სოც-დემოკრატები სასტიკად ილაშქრებოდენ კოალიციონურ მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ დროთა განმავლობაში ამ უთანხმოებას თანდათან გამოეცალა ნიადაგი და მით შესაძლებელი ხდება კვლავ სოც.-დემოკრატიული ჯგუფების შეერთება.

## საბჭოთა რუსეთში.

### მენშევიკები და საბჭოთა მთავრობა.

„რუს. უფსიანის“ პრაგის განყოფილებას ატყობინებენ:

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში საბჭოთა რუსეთში მენშევიკები გამოდიან როგორც პოლიტიკური პარტია და იცავენ, თუმცა უშედეგოთ, თავის პოლიტიკურ ლოზუნგებს.

კერძოთ ოდესაში, ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში, მუშათა კონფერენციაზე მენშევიკებმა გამოიტანეს თავისი რეზოლიუციები, რომლებმაც ცხარე კამათი გამოიწვია და კინაღამ დამთავრდა კონფერენციის გარეკით. ამ კონფერენციაზე მენშევიკებს ქონდათ 109 ადგილი, კომუნისტებს 212 და უპარტიოთ 140. კომუნისტებმა, მიუხედავათ მიღებულ რეზოლიუციებზე აბსოლიუტიური უმრავლესობა და ძლივს მოახერხეს თავისი რეზოლიუციების გაყვანა. მენშევიკების რეზოლიუცია შეიცავდა საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მკაცრ კრიტიკას და მოითხოვდა ჩრეზვიჩაიკების გაუქმებას, სიტყვის და კრების თავისუფლებას და სხვ. რეზოლიუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ კონტრ-რევოლიუციასთან და გარეშე მტერთან ბრძოლაში მენშევიკები მხარს დაუჭერენ საბჭოთა მთავრობას.

ყირიმის ევაკუაციამ ახალი საბაბი მისცა მენშევიკებს წითელი ტერორის წინააღმდეგ აგიტაციისათვის, რომელიც კონტრ-რევოლიუციონურ საფრთხის მოსპობის შემდეგ კარგავს ყოველივე აზრს. მენშევიკების გამოსვლები იწვევდა კომუნისტების საპასუხო გამოსვლებს, კერძოთ საბჭოთა პრესა ბევრს ლაპარაკობს მენშევიკების მოქმედებაზე და უწოდებს მათ „რევოლიუციის გამყიდველებს“ და „სოციალ-ვრანგელისტებს.“

საბჭოთა მთავრობას ძლიერ აფიქრებს მენშევიკების მოქმედება და სასტიკად ყოველგვარი ოპოზიცია და ისიც არავითარ საშვალებას არ ერიდება მათთან ბრძოლაში. რაიმე ბრალდების წაუყენებლათ უკრაინის საბჭოთა მთავრობამ დაადგინა უკრაინის საზღვრებიდან გააძევოს 17 გამოჩენილი მენშევიკი, სხვათა შორის უკრაინის მთავარ კომიტეტის წევრები: ბერი, ზოლოხოვიჩი, შტერნი, რუბცევი, შულგინი და ხარკოვის კომიტეტის წევრი ბორის მალკინი. ამათთანავე ერთად 10 სხვა პირს მიუსაჯეს „სამოქალაქო ომის გათავებამდე“ კონცენტრაციულ ბანაკში მუშაობა. მათ შორის არიან: ცნობილი ს.-დ. მოღვაწე ასტროვი, ოდესელი ჟურნალისტი, ქალაქის ხმოსანი კოლობკინი (მენშევიკი), ს.-დ. პარტიის კიევის კომიტეტის წევრები ჩიჟევსკი და კუჩინ-ორანსკი და აგრეთვე ხარკოვის პროფ. ორგანიზაციების გამოჩენილი მოღვაწეები მ. ბადინი და გროსმანი.

ამ პირთაგან უმრავლესობა დაატუსაღეს 19 აგვისტოს ხარკოვში რ. ს. დ. მ. პ. საოლქო კონფერენციაზე.

აგრეთვე, საქართველოში გაძევება გადაწყვიტეს რამოდენიმე მენშევიკს, რომლებიც კრემენჩუგის პროფესიულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდენ. ამ კავშირების მიერ არჩეული გამგეობები კომუნისტებმა დარეკეს და მათ მაგიერ გაგზავნეს „კომუნისტურ იაჩეიკების მიერ არჩეული პირები.

ოქტომბრისა და ნოემბრის მანძილზე რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში მოხდა მენშევიკების ფართო დაპატიმრება: მოგილიოვში დაატუსაღეს ადგილობრივი ორგანიზაციის ყველა წევრები გამგეობისა; ვიტებსკში—12 კაცი; ... რაში—20 კაცი; სმოლენსკში—მიტინგის თავმჯდომარე და ზოგიერთი წევრები. დატუსაღებას ადგილი ქონდა აგრეთვე სტავროპოლში, კურსკში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ... რმოვოში, ვოლოგდაში ქ. ბრიანსკში დაატუსაღეს ენერგიული მუშა—მენშევიკი სემიონოვი.

მოსკოვის ციხეში იმყოფება ამჟამად 16 მენშევიკი.

### შვეცია და საბჭოთა რუსეთი.

სტოკჰოლმში ჩავიდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი პოლონსკი, რომელმაც თან ჩამოიტანა ოქროს დიდი რაოდენობა შვეციასთან სავაჭრო ურთიერთობის გასამყარებლად.

პრესის და საზოგადოების აზრი წინააღმდეგია ბოლშევიკებთან ვაჭრობის სანამ საბჭოთა მთავრობა არ დაუკმაყოფილებია შვეციის ზოგიერთ მოქალაქეთა და ფირმების პრეტენზიებს. მთავრობის სპეციალურმა კომისიამ ჯერჯერობით აღნუსხა 480 კერძო პირის და ფირმების მოთხოვნა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საბჭოთა მთავრობის მიერ ქონების ჩამორთმევის და ზოგიერთ შემთხვევებში განადგურების გამო. შვეციის ფირმების და კერძო პირთა ზარალი 180 მილიონ კრონს და 300 მილიონ მანეთს უდრის.

ამას გარდა შვეციის მთავრობა თვით მოითხოვს საბჭოთა მთავრობისგან პეტროგრადში შვეციის საელჩოს დარბევით მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად რამოდენიმე მილიონ კრონს.

რედაქტორი კ. ბავთარაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ
ყოველდღიური გაზ.
„ბათომის ცხოვრებაზე“
თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან.
მუშა მოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით.
ხელი მოწერა მიიღება მარინეს პროსპექტზე საბაშვილის სახლში.